ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3267429

ნომერი: AR1501828

თარიღი : 06.05.2017

გაცემის თარიღი : 17.05.2017

გაცნობის თარიღი : 17.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, კ. აფხაზის 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლალი შელია პ/ნ 01017005224
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 1

ორგანიზაცია:

- შპს შევარდენი კოდი: 204381640

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

თქვენი 06.05.2017 წ. AR1501828 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კ. აფხაზის N12 მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ რომ:
საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით სამსახურში წარმოსადგენია საზოგადოებრივი კვების ობიექტის, მესაკუთრეების მიერ გაცემული, შესაბამისი წესით დამოწმებული, განმცხადებლისთვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი
დოკუმენტი,წარმოსადგენი იქნება ასევე იმ ტერიტორიის მესაკუთრის შესაბამისი წესით დამოწმებულითანხმობა სა დაც იგეგმება კაფეს მოწყობა.
დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი განხილულ იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ.
„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების გაცნობიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში, მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge